კულტურა და გლობალური გამოწვევები

CULTURE AND GLOBAL CHALLENGES

ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული

INTERNATIONAL JOURNAL OF ARTS AND MEDIA RESEARCHES

2023 #3 (13)

ПРОЕКТИ ДАФИНАНСЕБУЛИА
ШОТА РУСТАВЕЛИС თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ

საქართველოს ШОТА РУСТАВЕЛИС
თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
1923-2023

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE, SPORT AND YOUTH OF GEORGIA

სარედაქციო საბჭო:

ნატო გენგიური
რედაქტორ-გამომცემელი, პროფესორი (თბილისი, საქართველო)

ზვიად დოლიძე
პროფესორი (თბილისი, საქართველო)

ქრისტიან ფრაიგანგი
პროფესორი (ბერლინი, გერმანია)

ნადეჟდა მარინჩევსკა
პროფესორი (სოფია, ბულგარეთი)

ლელა ოჩიური
პროფესორი (თბილისი, საქართველო)

გიორგი ცქიტიშვილი
პროფესორი (თბილისი, საქართველო)

მაკა (მარინე) ვასაძე
ასოცირებული პროფესორი (თბილისი, საქართველო)

თათია ჩხეიძე
ასოცირებული პროფესორი (თბილისი, საქართველო)

ანანო სამსონაძე
პროფესორი (თბილისი, საქართველო)

რევაზ ჭიჭინაძე
ასოცირებული პროფესორი (თბილისი, საქართველო)

ლიტერატურული რედაქტორი:
ნუცა კობაიძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:
ირაკლი ბერიძე

კორექტორი:
მანანა სანადირაძე

დიზაინერი:
ივანე კიკნაძე

დამკაბადონებელი:
ეკატერინე ოქროპირიძე

Editorial Board:

NATO GENGIURI
Editor-in-Chief, Professor (Tbilisi, Georgia)

ZVIAD DOLIDZE
Professor (Tbilisi, Georgia)

CHRISTIAN FREIGANG
Professor (Berlin, Germany)

NADEZHDA MARINCHEVSKA
Professor (Sofia, Bulgaria)

LELA OCHIAURI
Professor (Tbilisi, Georgia)

GIORGI TSKITISHVILI
Professor (Tbilisi, Georgia)

MAKA (MARINE) VASADZE
Associate Professor (Tbilisi, Georgia)

TATIA CHKHEIDZE
Associate Professor (Tbilisi, Georgia)

ANANO SAMSONADZE
Professor (Tbilisi, Georgia)

REVAZ CHICHINADZE
Associate Professor (Tbilisi, Georgia)

Literary Editor:
NUTSA KOBAIDZE

English Text Editor:
IRAKLI BERIDZE

Proofreader:
MANANA SANADIRADZE

Designer:
IVANE KIKNADZE

Book Binding:
EKATERINE OKROPIRIDZE

დაიბეჭდა გამომცემლობა კენტავრში
Printed by KENTAVRI Publishers

ყველა უფლება დაცულია
All rights reserved

ISSN 2667-9914

გრაფიკა გარეკანზე: ივანე კიკნაძე. Cover art: Ivane Kiknadze

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“, 2023
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House “Kentavri”, 2023

საოკუპაციო ხაზთან

ირმა დოლიძე

საკვანძო სიტყვები: *გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი, საოკუპაციო ხაზი, სოფელი ოძისი, ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმი*

ადამიანების ტრაგიკული ისტორიებით გაჯერებული უახლესი წარსული დღეს უკრაინაში განვითარებული მოვლენებით გაცოცხლდა. თანამედროვე ტექნოლოგიები ომის მიმდინარეობის თვითმხილველებს გვხდის - თვალს ვადევნებთ ტელეკრანებიდან, სოციალური ქსელებით, პირდაპირ ეთერში. მსგავსი გამოცდილება კაცობრიობას აქამდე არ ჰქონია. 1992 ან 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომების დროს ინფორმაციის მსგავსად გავრცელება-გაზიარების შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, დღეს, სავარაუდოდ, სხვა რეალობაში ვიცხოვრებით და, სავარაუდოდ, არც რუსეთ-უკრაინის ომი იქნებოდა ასობით და ათასობით მსხვერპლით.
საომარ ვითარებაშიც საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები მოქმედებს და ყველა სფეროს მოიცავს. მათ შორისაა კულტურული მემკვიდრეობა: ძეგლები, ობიექტები, მუზეუმები. 1954 წლის ჰაა-გის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ და მი-სი ოქმები (1954 და 1999) ადგენს მხარეთა პასუხისმგებლობებს მსგავს ვითრებაში. მაგრამ რა ხდება საომარი მოქმედებების შემდეგ? ჩვენს სინამდვილეში რუსეთის მიერ ოკუპირებული დასახლებები ცხინვალის რეგი-ონში „საოკუპაციო ხაზითაა“ გამიჯნული. ქვეყნის ოკუპირებულ ნაწილში საქართველოს მოქალაქეებისათვის გადაადგილება აკრძალულია. იქ მიმდინარე პროცესებზე წვდომა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობითაა შესაძლებელი. მძიმე ვითარებაა ე.წ. „საოკუპაციო ხაზთან“ - მცოცავი ოკუპაციის, მოქალა-ქეთა გატაცების, დატყვევებისა და სხვადასხვა ინცინდენტების ჩათვლით.
2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საოფელ ოძისში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მდე-ბარე, XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მამა-შვილის, გიორგი და დავით ერისთავების სახ-ლ-მუზეუმი საოკუპაციო ხაზიდან 500 მეტრში აღმოჩნდა, XIX საუკუნის დასაწყისში აგებულ ერისთავების სასახლეში (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) მუზეუმი 1961 წლიდან ფუნქციონირებს და ერისთავების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ უაღრესად საინტერესო კოლექციებს აერთიანებს.
რა გამოწვევების წინაშეა საკუპაციო ხაზთან მდებარე მუზეუმი? რა გამოარჩევს მას სხვათაგან? როგორია მისი როლი და მნიშვნელობა?

ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები, პანდემიები ყოველთვის რჩება კაცობრიობის უმთავრეს გამოწვევებად. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც XXI საუკუნე აღმოჩნდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველომ ურთულესი პერიოდები განვლო – რამდენიმე ომი, ოკუპირებული ტერიტორიები, მავთულხლართებით გავლებული „საზღვრები“, დაცლილი სოფლები და ქალაქები, ათეულ ათასობით დევნილი მოსახლეობა, ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ დაწესებული თვითნებური რეჟიმები მოქალაქეებზე მუდმივი ზეწოლით. მცოცავი ოკუპაცია, რომელიც დღემდე გრძელდება.

ადამიანების ტრაგიკული ისტორიებით გაჯერებული უახლესი წარსული დღეს უკრაინაში განვითარებული მოვლენებით გაცოცხლდა. თანამედროვე ტექნოლოგიები ომის მიმდინარეობის თვითმხილველებს გვხდის – თვალს ვადევნებთ ტელეკრანებიდან, სოციალური ქსელებით, პირდაპირ ეთერში. მსგავსი გამოცდილება კაცობრიობას აქამდე არ ჰქონია. 1992 ან 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომების დროს ინფორმაციის მსგავსად გავრცელება-გაზიარების შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, დღეს, სავარაუდოდ, სხვა რეალობაში ვიცხოვრებით და, სავარაუდოდ, არც რუსეთ-უკრაინის ომი იქნებოდა ასობით და ათასობით მსხვერპლით.

საომარ ვითარებაშიც საერთაშორისო კანონმ-

დებლობით დადგენილი რეგულაციები მოქმედებს და ყველა სფეროს მოიცავს. მათ შორისაა კულტურული მემკვიდრეობა: ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, მუზეუმები. 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ და მისი ოქმები (1954 და 1999) ადგენს მხარეთა პასუხისმგებლობას მსგავს ვითარებაში. მაგრამ რა ხდება საომარი მოქმედებების შემდეგ?

ჩვენს სინამდვილეში რუსეთის მიერ ოკუპირებული დასახლებები ცხინვალის რეგიონში „საოკუპაციო ხაზითაა" გამიჯნული. ქვეყნის ოკუპირებულ ნაწილში საქართველოს მოქალაქეებისათვის გადაადგილება აკრძალულია. იქ მიმდინარე პროცესებზე წვდომა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობითაა შესაძლებელი. მძიმე ვითარებაა ე.წ. „საოკუპაციო ხაზთან" – მცოცავი ოკუპაციის, მოქალაქეთა გატაცების, დატყვევებისა და სხვა ინციდენტების ჩათვლით.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სოფელ ოძისში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მდებარე, XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მამა-შვილის, გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი საოკუპაციო ხაზიდან რამდენიმე ასეულ მეტრში აღმოჩნდა, ორი საუკუნის წინ აგებულ ერისთავების სასახლეში მუზეუმი XX საუკუნის II ნახევრიდან ფუნქციონირებს და ერისთავების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ კოლექციებს აერთიანებს.[1]

რა გამოწვევების წინაშეა საოკუპაციო ხაზთან მდებარე მუზეუმი? რა გამოარჩევს მას სხვათაგან? როგორი უნდა იყოს მისი როლი და დანიშნულება?

მწერალი, დრამატურგი, ქართული პროფესიული თეატრის დამაარსებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე და საზოგადო მოღვაწე – გიორგი ერისთავი (1813-1864) სოფელ ოძისში, სწორედ ამ სასახლეში დაიბადა და პერიოდულად, აქვე ცხოვრობდა. მოგვიანებით სახლი მის შვილს, დავით ერისთავს (1847-1890) ეკუთვნოდა.

ერისთავების სასახლე სოფლის განაპირას, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. განლაგებულია 10100 კვ/მ. ფართობზე, სასახლის აგების ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, ბიოგრაფიული მონაცემებისა და სტილისტური ანალიზით, XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ეზოში შემორჩენილია იმავე ეპოქის სამეურნეო ნაგებობათა (თავლები, ჭა) ნაშთები, რომლებიც სასახლის შენობასთან ერთად ერთიან არქიტექტურულ კომპლექსად აღიქმება და იმდროინდელი ყოფის რეკონსტრუქციის შესაძლებლობასაც ქმნის.

მემორიალურ სასახლეში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შიდა სივრცის მთლიანად მომცველი მარანი სხვადასხვა მოცულობის 47 ქვევრით, საწნახელით, ჭით (1 სართულზე). პირველი სართულის ყველა სივრცეში გამოვლენილი კედლის მხატვრობის ნაშთებით, მეორე სართულზე მოქმედი ექსპოზიციებით (სამ დარბაზში) და მოგვიანებით აშენებული თეატრალური დარბაზით, რომელიც შენობისავე სტრუქტურაშია გაერთიანებული.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სასახლემ შეიცვალა თავდაპირველი ფუნქცია, რამაც მისი მრავლამხრივი გადაკეთება განაპირობა. 1958 წელს აქ მუზეუმი გაიხსნა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ასევე, 1970-იან წლებში „ცეკავშირის" სამმართველოს მიერ არასრული პროექტით ჩატარებულმა რესტავრაციამ.[2] მუზეუმის რეაბილიტაციის საკითხი გასული საუკუნის ბოლოსაც დაისვა. 1990 წელს მომზადდა ერისთავების სასახლის რესტავრაციის პროექტი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, ეს კი მუზეუმის სრულფასოვან ფუნქციონირებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა. ამას დაემატა წლების განმავლობაში სახლ-მუზეუმის შენობის ფიზიკური მდგომარეობის სულ უფრო გაუარესება.

2016 წლიდან სახელმწიფომ ეტაპობრივად დაიწყო სახლ-მუზეუმის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია,[3] მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია მუზეუმის ფუნქციონირების აღდგენისათვის.

1 სახლ-მუზეუმში დაცულია სახვითი (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება), გამოყენებითი ხელოვნების, ფოტო და მემორიალური კოლექციები. ექსპონატების საერთო რაოდენობა 827 ერთეულია. მათი ნაწილი საჭიროებს კონსერვაცია-რესტავრაციასა და საექსპოზიციოდ მომზადებას.

2 პროექტი - ერისთავების სახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2016.

3 გამოიცვალა შენობის სახურავი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახლ-მუზეუმის ფასადებს ჭვირული აივნებით შემ-

დღეის მდგომარეობით სოფელ ოძისში სამასამდე ოჯახი ცხოვრობს, მოქმედებს საბავშვო ბაღი და საშუალო სკოლა, სადაც 70 ბავშვი და 18 მასწავლებელია; სკოლის ბაზაზე არსებობს ცეკვის და ჭიდაობის წრეები. სოფლის მოსახლეობა მუდმივი სტრესის, რთული სოციალური პრობლემებისა და გამოწვევების პირობებში ცხოვრობს. რეალურია სოფლის დაცლის საშიშროებაც.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში სახლ-მუზეუმის არსებობა უკვე თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის გამოყენებაც მუზეუმის მულტიფუნქციურ შესაძლებლობებზე უნდა იქნას მიმართული. ამ მხრივ, გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმს განვითარების დიდი პოტენციალი და შესაძლებლობები აქვს.

მემორიალური შენობის რეაბილიტაციისა და სათანადო ინფრასტრუქტურული მოწყობის შემდეგ, რა თქმა უნდა, მუზეუმმა უნდა შესთავაზოს დამთვალიერებელს ერისთავთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ახალი, თანამედროვე ექსპოზიცია, საქართველოს ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციით და დღევანდელობასთან გავლებული პარალელებით. მაგრამ, ამასთან ერთად, საოკუპაციო ხაზთან სიახლოვის გათვალისწინებით, მუზეუმი უნდა იქცეს მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური დახმარების ცენტრად, რომელიც მრავალმხრივი საქმიანობით (გამოფენები, წარმოდგენები, კონფერენციები, საგანმანათლებლო პროგრამები, ფესტივალები, შეხვედრები) შეცვლის, გაამრავალფეროვნებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებას და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის განვითარებას.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძლიერდება სახელმწიფოებრიობაზე, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ასეთ ვითარებაში ქსნის ერისთავების შთამომავლები, გიორგი და დავით ერისთავები, ერთდროულად ითავსებენ თეატრალურ, ლიტერატურულ, ჟურნალისტურ საქმიანობას, გვევლინებიან პიონერებად მთელ რიგ საკითხებში, როგორებიცაა 1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული პროფესიული ქართული თეატრი და 1852 წელს პირველი სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი". ერისთავებმა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში. სახლ-მუზეუმის მუდმივმა ექსპოზიციამ უნდა გამოკვეთოს ერისთავების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების კონტექსტში. მათი თეატრალური, ლიტერატურული, ჟურნალისტური, მთარგმნელობითი საქმიანობა. მუზეუმში დაცულ ექსპონატებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნას თანამედროვე საექსპოზიციო ტექნოლოგიები.

გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის განვითარების[4] ძირითადი მიმართულებებია: მუზეუმის სრული რეაბილიტაცია-კონსერვაცია, სამუზეუმო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მუდმივი ექსპოზიციების მომზადება-განხორციელება, ექსპონატების კონსერვაცია-რესტავრაცია, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, საგანმანათლებლო და საგამოფენო პროგრამების მომზადება, მუზეუმის კომპლექსური საქმიანობის მართვა.

ერთი მხრივ, უმნიშვნელოვანესია მაქსიმალურად შენარჩუნდეს სასახლის პირვანდელი სახე და ამავდროულად, მოხდეს მისი ახალ სამუზეუმო საჭიროებებზე მორგება. ფუნქციური გადანაწილების ქვემოთ მოყვანილ სქემას თავად სასახლის სტრუქტურა გვკარნახობს. კერძოდ, მუზეუმის ზედა, მეორე სართული კვლავინდებურად დაეთმობა მუდმივ ექსპოზიციას, პირველი სართული – მედიათეკა/ბიბლიოთეკას (სოფელს არ აქვს ბიბლიოთეკა), დროებით გამოფენებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრს (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ

კული გალერეებით, შეიცვალა წყალარიდების სისტემა, ჩატარდა ინტერიერში გამოვლენილი კედლის მხატვრობის კვლევა.

4 გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი 2019 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაშია. სახლ-მუზეუმის განვითარების ხედვა მომზადდა 2020-2021 წლებში სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის მიერ (დოლიძე ი., თევდორაშვილი თ., სოსანიძე მ., ბულაშვილი ე., მელაძე დ., კაჭარავა ე.).

ოძისში, ახლომდებარე სოფლებში, ოკუპაციის ხაზს მიღმა). ახალი შინაარსით დატვირთული სივრცეების ამოქმედება სოფლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მუზეუმს შეუძლია და უნდა შესთავაზოს კიდეც ეს შესაძლებლობა მოსახლეობას. ქვედა სართულზე არსებულ მარანს უნდა დუბრუნდეს თავდაპირველი ფუნქცია, დაიტვირთოს ახალი ტურისტული შეთავაზებებით და ეთნოკაფესთან ერთად ხელი შეუწყოს ადგილობრივთა ეკონომიკური ინტერესების აქტივიზაციას.

მულტიფუნქციურ სივრცედ შეიძლება განვიხილოთ ე.წ. თეატრალური დარბაზი, რომელმაც უნდა შეიძინოს მრავალფეროვანი დატვირთვა: სპექტაკლების (სხვადასხვა თეატრის, მათ შორის გიორგი ერისთავის სახელობის გორის დრამატული თეატრის, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების წარმოდგენა, სტუდენტური ფილმების ჩვენება), ლიტერატურული, თეატრალური, მუსიკალური საღამოების, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზებითა და სხვადასხვა სამუზეუმო პროექტით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საოკუპაციო ხაზთან სიახლოვის გათვალისწინებით, მუზეუმმა უნდა შეითავსოს ერთგვარი სოციალური ცენტრის ფუნქციაც. სხვადასხვა ასაკის ადგილობრივი მოქალაქეებისათვის ის უნდა იქცეს ერთგვარ, კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალური დახმარების ადგილად, რომელიც შესაბამისი არტ-თერაპიული ღონისძიებებით, ფსიქოლოგიური გაჯანსაღების, ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროგრამებითა თუ კამერული შეხვედრების მეშვეობით შეძლებს არსებული მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას, ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებას.

სამუზეუმო პროგრამებსა თუ პროექტებში ადგილობრივი და ახლომდებარე სოფლების სკოლებისა და ბაღების მოსწავლეების მონაწილეობა მუზეუმმა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა აქციოს, რაც თავის მხრივ, რეგიონის მოსახლეობის ინტელექტუალურ განვითარებას, გამოცოცხლებასა და მორალური ტრავმის შემსუბუქებას შეუწყობს ხელს.

სასურველია საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე სხვა მუზეუმებთან დაკავშირება და ერთგვარი ქსელის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი ასეთი მუზეუმია ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმი სოფ. ლამისყანაში (მუზეუმი აერთიანებს ციხე-გალავანს, სასახლეს, მარანს). აქედან კარგად ჩანს ქსნის ხეობის დიდი მონაკვეთი და იქ არსებული სოფლები, ციხეები, ქსნის ერისთავების რეზიდენცია (XVII ს.), რომელშიც დღესაც ფუნქციონირებს მუზეუმი (1982 წლიდან) და ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ნაწილია. 2008 წლიდან იგი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. გიორგი ერისთავიც ხომ თავად ქსნის ერისთავთა შთამომავალი იყო. „მის წინაპრებს ჯერ ქსნის საერისთავო რეზიდენციაში, სოფელ ახალგორში, შემდეგ კი სოფელ ოძისში უცხოვრიათ“.[5] სიმბოლურია, რომ გიორგი ერისთავის საბოლოო განსასვენებელი – იკორთის ტაძარი (1172) დღეს, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ერისთავებისა და ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლეთა მონახულება ერთიან კონტექსტში შეიძლება მოიაზრებოდეს.

2008 წლიდან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალიც. იგი 2005 წელს დაარსდა. დღეს მისი ადმინისტრაცია გორის დევნილთა დასახლებაშია განთავსებული.[6]

ამ მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების თემატური დაკავშირება (ერთობლივი პროექტებით) მნიშვნელოვანი იქნება კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის ფორმატშიც. მუზეუმის საინფორმაციო ცენტრში თავს მოიყრის ელექტრონული მასალები ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ძეგლებისა და მუზეუმების შესახებ. ასევე, ინფორმაცია სოფ. ოძისისა და, ზოგადად, მჭადიჯვრის თემის (სოფელ ოძისთან ერთად ამ თემში გაერთიანებულია 17 სოფელი) ისტორიულ ძეგლებზე. შესაძლოა, აღნიშნული საინფორმაციო ცენტრის ბაზაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევის ბაზაც ჩამოყალიბდეს

5 გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი, თბილისი, 2003, გვ. 3.

6 ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი და დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი გაერთიანებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურაში.

და ხელი შეეწყოს ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს პოპულარიზაციას, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობაშიც.

საინფორმაციო ცენტრთან ერთად მუზეუმში მოაზრებულია მედიათეკის შექმნაც, წიგნადი ფონდითა და ელექტრონული ბიბლიოთეკით (სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე გათვლით). მძიმე სოციალური ფონის ოჯახთა ბავშვებისათვის მედიათეკა სამუშაო სივრცედაც (კომპიუტერი, ინტერნეტი) შეიძლება იქცეს.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ გამორჩეულ ღირსებას სასახლის თანადროული მარანი წარმოადგენს. შენობის სრული რეაბილიტაციის შემდეგ, მარნის ფუნქციურად ამოქმედება უმნიშვნელოვანესია.[7]

მისი დატვირთვა ტურისტული პოტენციალის ზრდაზე უნდა იყოს მიმართული, ფუნქციურად მარანსვე დაუკავშირდება ეთნოკაფე, რომელიც მუზეუმთან გაიხსნება და ძირითადად, ადგილობრივ პროდუქციაზე იქნება გათვლილი. მარანმა შესაძლოა მუზეუმისგან დამოუკიდებლადაც შესთავაზოს ვიზიტორს საინტერესო ტური – ღვინისა და მარნის ისტორიის გაცნობით, დეგუსტაციით, მასტერკლასებით ღვინის დაყენების შესახებ და სხვ. ამ საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება გაზრდის მოტივაციას და ეკონომიკურ დაინტერესებას.[8]

მუზეუმის ეზო – სახლ-მუზეუმის სავიზიტო ბარათად უნდა იქცეს. დღევანდელი სახითაც კი, ეზო განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ამიტომ აუცილებელია მისი პოტენციალის სრულად გამოყენება.

ფუნქციური თვალსაზრისით, ეზოს სივრცეში შესაძლებელია მრავალფეროვანი კულტურულ-სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა: არაფორმალური განათლების პრაქტიკის დანერგვა, ფესტივალების, თანამედროვე ხელოვნების გამოფენების, თეატრალური წარმოდგენების ჩატარება.[9]

მუზეუმის ეზო სოფლის ახალგაზრდობისთვის გამორჩეული ადგილია. მათი რიცხვი ადგილობრივებთან ჩამოსული სტუმრების ხარჯზე ზაფხულობით ორმაგდება და ახალგაზრდები საღამოობითაც მუზეუმის ეზოში იყრიან თავს. შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის პირობებში, დასვენებასთან ერთად, ეზოს ფუნქციურ დატვირთვაში კულტურულ-საგანმანათლებლო-სანახობრივი შინაარსის შეტანა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუდმივად ცოცხალი კულტურული გარემოს არსებობას სოფელში.

ქართული საზოგადოებრიობა და სახელმწიფო ყოველწლიურად საგანგებოდ აღნიშნავს პროფესიული ქართული თეატრის დაარსების თარიღს. სწორედ ამ დღეს, 1850 წლის 14 იანვარს, გიორგი ერისთავის ინიციატივით, მისივე პიესის მიხედვით, დაიდგა სპექტაკლი „გაყრა“. ამ ისტორიული მოვლენის სულის ჩამდგმელი ხომ თავად გიორგი ერისთავი იყო. ერისთავების სახლ-მუზეუმი გვესახება სწორედ იმ ადგილად, სადაც ყოველწლიურად უნდა აღინიშნებოდეს ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

„მცოცავი ოკუპაციის“ პირობებში, მუზეუმი და იქ დაცული კოლექციები მუდმივი საფრთხის ქვეშაა. შესაბამისად, მუზეუმისთვის უნდა დამუშავდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დაეფუძნება რისკების ანალიზს (ადგილ-მდებარეობისა და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით).

7 შესაძლებელია მარანი იჯარით გადაეცეს რომელიმე ღვინის კომპანიას, რომელიც სამუზეუმო სტანდარტების დაცვით შეძლებს მუშაობას.

8 სოფ. ოძისში გავრცელებული ღვინის ჯიშებია: რქაწითელი, გორული, ჩინური, უწამლი; ადგილობრივ მოსახლეობას მიწის პატარა ნაკვეთები აქვს და დაახლოებით, 500-700 ლიტრ ღვინოს ამზადებენ; შესაბამისად, სოფელში ღვინო იმ მასშტაბით არ იწარმოება, რომ მუზეუმის მარნის გაძღოლა ადგილობრივ ბაზაზე იყოს შესაძლებელი. სოფელში ოჯახები ამზადებენ ყველს, ჩირს, ჩურჩხელას; შესაძლებელია ამ პროდუქტების დამზადების წახალისება იმგვარად, რომ მათი რეალიზაცია მუზეუმის ბაზაზე მოხდეს, მაგალითად, კაფეში, ფესტივალებზე; სოფლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა - ხეხილი. ამ მიმართულებითაც, შეიძლება ადგილობრივი პროდუქციის ჩართვა სამუზეუმო კაფეს, მარნის და სხვ. მომსახურების სფეროში. გასათვალისწინებელია, რომ სოფელში არ არის ბაზარი და ხილის რეალიზაცია თბილისში ხდება. ამდენად, მუზეუმი შეიძლება ამ მხრივაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის წამახალისებელ სივრცედ იქცეს.

9 მუზეუმის ეზო, ასევე, შესაძლებელია დიდი ღონისძიებებისათვის გასაქირავებელ სივრცედაც იქცეს. ულამაზეს ეზოში არაჩვეულებრივად დაიგეგმება ღია ტიპის ივენთები - ქორწილები, კორპორაციული შეხვედრები და სხვ. ამგვარი მიდგომა მუზეუმის შემოსავლის ზრდასაც შეუწყობს ხელს.

ასეთი მართვის გეგმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზთან მდებარე მუზეუმისთვის, ვინაიდან, მისი მეშვეობით შესაძლებელია საგანგებო ვითარებისას მიყენებულ ზიანთან სწრაფი და პროფესიონალური გამკლავება.

XXI საუკუნემ მკვეთრად გააფართოვა მუზეუმის როლი და მისია. საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ფორმების ძიების პროცესში მუზეუმი – ექსპონატების საცავის, მათი პრეზენტირებისა და ინტერპრეტაციის ფუნქციიდან, აქტიურ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის მქონე ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. საოკუპაციო ხაზთან მდებარე მუზეუმი, როგორც მულტიფუნქციური მიზიდულობის ცენტრი, არა მარტო უნდა აერთიანებდეს ყველა ამ მიმართულებას, არამედ შესაძლებელია და უნდა იქცეს კიდეც სოფლის და მიმდებარე დასახლებების ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების განმაპირობებელ დინამიკურ სივრცედ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოძისი, გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის ინტერიერში არსებული მოხატულობის კვლევის წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ძეგლთა კვლევისა და კონსერვაციის ცენტრი, თბილისი, 2019;
- გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი, თბილისი, 2003;
- გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის განვითარების ხედვა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური (ი. დოლიძე, თ. თევდორაშვილი, მ. სოსანიძე, ე. ბულაშვილი, დ. მელაძე, ე. კაჭარავა), 2020-2021;
- ერისთავების სასახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2016;
- ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი (II ეტაპი), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2018;
- გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი (IV ეტაპი), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2019;
- დოლიძე ი., მულტიფუნქციური სივრცის შექმნა გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმში (სოფ. ოძისი), საგრანტო განაცხადი USAID ზრდა პროექტისთვის საქართველოში, 2019;
- კიკნაძე ვ. , ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. 1, 2001;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, 2016-2017;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, 2018-2019;
- შერვაშიძე ნ., ბიძინა ავალიშვილი, ქანდაკება, თბილისი, 2014.

ALONG THE OCCUPATION LINE

Irma Dolidze

Keywords: *House-museum of Giorgi and Davit Eristaves, occupation line, village of Odzisi, Ksani historical-architectural museum-reserve, Palace-Museum of Jambakur-Orbelians in the village of Lamiskhana.*

Wars, natural disasters, pandemics always remain the greatest challenges of mankind. The 21th century did not turn out to be an exception in this respect either. Georgia has gone through some of the most difficult periods since the 1990s – several wars, occupied territories, barbed wire "borders", deserted villages and towns, tens of thousands of IDPs, arbitrary regimes imposed by the occupying state in full violation of international law and constant influencing of the population on both sides of the occupation line. A creeping occupation that is still a part of our reality today.
Full of tragic stories of many people, the recent past has been revived by the events in Ukraine today. Modern technology makes us witness the war – we watch it on TV, on social networks, live. Mankind has never had a similar experience. If there had been an opportunity to disseminate information similarly during the Russia-Georgia wars of 1992 or 2008 and if we had an appropriate response from the democratic world, we would probably be living in a different reality today, and presumably neither would the Russia-Ukraine war with hundreds and thousands of casualties have occurred.
Regulations established by international law also apply in war situations and cover all areas. These include cultural heritage: monuments, objects, museums. The 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict and its Protocols (1954 and 1999) set out the responsibilities of the parties in a similar situation. But what happens after the war? In our reality, the settlements occupied by Russia in the Tskhinvali region are separated by an "occupation line". Movement of Georgian citizens is prohibited in the occupied parts of the country. Access to the ongoing processes would onlybe possible with the participation of international organizations. The situation is dire near the so-called "Occupation line" – including creeping occupation, kidnapping, imprisonment and various other incidents.
After the Russian-Georgian war in August 2008, the house-museum of famous 19th century public figures, father and son, George and David Eristavi, located in the village of Odzisi (Dusheti municipality), was 500 meters from the occupation line. Built in the Eristavi Palace (Cultural Heritage Site) in the early 19th century, the museum has been operating since 1961 and combines highly interesting collections of life and work of the Eristavis.
What are the challenges facing the museum near the occupation line? What sets it apart from others? What is its role and significance?

Wars, natural disasters, pandemics always remain the greatest challenges of humanity. The 21st century is no exception either. Georgia has gone through some of the most difficult periods since the 1990s: several wars, occupied territories, barbed wire "borders", deserted villages and towns, tens of thousands of IDPs, arbitrary regimes imposed by the occupying state in full violation of international law and constant intimidation of the population on both sides of the occupation line. A creeping occupation that is still a part of our reality today.

Full of tragic stories of many people, the recent past has been revived by the events in Ukraine today. Modern technology makes us witness the war. We watch it on TV, social networks, live. Humanity has never had a similar experience. If there were opportunities to spread information similarly during the Russia-Georgia wars of 1992 or 2008 and if we had an appropriate response from the democratic world, we would probably be living in a different reality today, neither would the Russia-Ukraine war with hundreds and thousands of casualties have occurred.

Regulations established by international law also apply in war situations and cover all areas. These include

cultural heritage: monuments, objects of cultural heritage, museums. The 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict and its Protocols (1954 and 1999) set out the responsibilities of the parties in a similar situation. But what happens after the war? In our reality, the settlements occupied by Russia in the Tskhinvali region are separated by an "occupation line". Movement of Georgian citizens is prohibited in the occupied parts of the country. Access to the ongoing processes would only be possible with the participation of international organizations. The situation is dire near the so-called "Occupation line", including creeping occupation, kidnapping, imprisonment and various other incidents.

After the Russian-Georgian war in August 2008, the house-museum of famous 19th-century public figures, father and son, George and David Eristavi, in the village of Odzisi (Dusheti municipality), was 500 meters from the occupation line. Built in the Eristavi Palace (Cultural Heritage Site) in the early 19th century, the museum has been operating since 1961 and combines highly interesting collections of life and work of the Eristavis.

What are the challenges facing the museum near the occupation line? What sets it apart from others? What is its role and significance?

Giorgi Eristavi (1813-1864), a Georgian writer, playwright, the founder of the Georgian professional theatre, member of the national liberation movement, and public figure, was born in the village of Odzisi, in this very palace, and lived here periodically. Later the house belonged to his son David Eristavi (1847-1890).

The palace of the Eristavis is located on the edge of the village, left bank of the Ksani river on an area of 10,100 m^2. The exact date of construction of the palace is unknown. Supposedly, according to the biographical data and stylistic analysis, it dates back to the beginning of the 19th century. The building has been given the status of a cultural heritage site. In the courtyard, the remains of agricultural buildings (stable, well) of the same period have been preserved, which, together with the palace, are perceived as a single architectural complex and create the possibility of reconstructing the life of that time.

In the memorial palace, a unique cellar with 47 *qvevris* (winemaking vessels) of different size, a winepress, and a well (on the 1st floor) with the remains of wall paintings found in the rooms on the first floor, current expositions on the second floor (in three halls), as well as a theatre hall built later integrated into the structure of the building are notable.

The historical building has lost its original appearance. After Georgia's Sovietization, the palace changed its original function and was reconstructed in various aspects. A museum was opened here in 1958. An important role was also played by the restoration[1] in the 1970s by the administration of the "Tsekavshiri" within the incomplete project. The issue of museum rehabilitation was raised again at the end of the last century. In 1990, a project for the restoration of the Eristavi Palace was developed and partially implemented, making the full functioning of the museum practically impossible. In addition, the physical condition of the house-museum building has been deteriorating over the years.

In 2016, the government started the gradual rehabilitation of the historical building of the House Museum.[2] But these have been only the first steps towards the restoration of the museum's functioning.

Today, about three hundred families live in the village of Odzisi. There is a kindergarten and a high school for 70 children and 18 teachers, dance and wrestling clubs. The rural population lives under constant stress, dire social problems and challenges. There is also a real danger of the village's depopulation.

The presence of a house-museum in a village near the occupation line is in itself a very important factor that needs to be used for the multifunctional possibilities of the museum. In this regard, the House-Museum of George and David Eristavi has great potential and opportunities for development.

After the rehabilitation of the memorial building and proper infrastructure arrangement, the museum should offer visitors a new, modern exposition depicting the

1 The project "Minor Rehabilitation Works of the Eristavi's House, 2016

2 The roof of the building was replaced, the facades of the house-museum were rehabilitated - galleries decorated with openwork balconies, the water drainage system was changed, and a study of the revealed wall paintings in the interior was carried out.

life and work of the Eristavis, with the reconstruction of the historical past of Georgia and parallels with the present. However, given the proximity to the occupation line, the museum should become an important center for culture, education, and social assistance, which can change and diversify the life of the local population and will contribute to the development of young generations through various activities (exhibitions, performances, conferences, educational programs, festivals, meetings).

After Georgia loss of independence and the autocephaly of the church due to the Russian Empire's expansion, the concern for statehood, improvement of public and economic life, determination of political orientation strengthened in the Georgian public life of the 19th century. In these circumstances, descendants of the Duchy of Ksani, Giorgi and David Eristavi, were engaged in theatrical, literary and journalistic activities. They were pioneers in a number of ways, such as the Georgian professional theatre founded by Giorgi Eristavi in 1850 and the first literary magazine Tsiskari in 1852. The Eristavis made a significant contribution to the development of the country through their active public work. The permanent exposition of the house-museum should outline the role and importance of the Eristavis in the public life of the country in the context of political situation at that time. Their theatrical, literary, journalistic and translation activities, as well as the exhibits stored in the museum, should be highlighted using modern exhibition technologies.

The main directions of the development[3] of Giorgi and Davit Eristavi's House-Museum include complete rehabilitation and conservation of the museum, museum infrastructure arrangement, preparation and implementation of permanent expositions, conservation and restoration of exhibits, development of emergency management plan, development of educational and exhibition programs, management of complex activities of the museum.

On one hand, it is important to preserve the original appearance of the palace as much as possible, and on the other, to adapt it to the new museum needs. The structure of the palace itself dictates the following scheme of functional distribution. In particular, the second floor of the museum will continue to house a permanent exhibition and the first floor will be dedicated to the mediathek/library (the village has no library), temporary exhibitions, educational programs, cultural heritage information center (about cultural heritage sites in Odzi, nearby villages, beyond the occupation line). Use of spaces with new content will be very important for the village. The museum can and should take advantage of this opportunity and offer it to the population.

The wine cellar on the lower floor should be returned to its original function, and new tourist attractions along with the newly opened ethno-cafe will greatly contribute to bolstering economic interests among local residents.

A theatre hall can be considered a multifunctional space, which should acquire a variety of attractions: performances of various theatres, including Giorgi Eristavi Gori Drama Theatre, Presentation of course and graduation performances by students of Shota Rustaveli Theatre and Film University, screening of student films, organization of literary, theatrical, musical evenings, meetings with famous people and various museum projects.

As mentioned earlier, considering the proximity to the occupation line, the museum should combine the function of a social center as well. For local citizens of different ages, it should become a cultural-educational, social assistance place, which will be able to ease the existing difficult situation and expand the horizons of young people through appropriate art-therapeutic measures, psychological healing, awareness-raising programs and small-scale meetings.

The participation of students from schools and kindergartens in local and nearby villages in museum programs and projects should be one of the main priorities of the museum, which in turn will contribute to the intellectual development, revitalization and alleviation of moral trauma of the population of the region.

It is advisable to connect with other museums located near the occupation line and form a network, such as the Palace-Museum of Jambakur-Orbelians in the village of Lamiskhana, which combines a fortress, a

3 Since 2019, Giorgi and Davit Eristavi House-Museum has been part of the National Agency for preservation of Cultural Heritage of Georgia. The house-museum development vision was prepared in 2020-2021 by Service of Museums and Museum-Reserves of the Agency (Dolidze I., Tevdorashvili T., Sosanidze M., Bulashvili E., Meladze D., Katcharava E.).

palace, and a wine cellar. From here, a large section of the Ksani gorge and existing villages and fortresses can be clearly seen. Akhalgori, the residence of the Duchy of Ksani (17th century), in which the museum is still functioning (since 1982) is a part of the Ksani historical-architectural museum-reserve. Since 2008, it has been in the territory occupied by Russia. Giorgi Eristavi was also a descendant of the Duchy of Ksani. "His ancestors first lived in the royal residence of Ksani, in the village of Akhalgori, and then in the village of Odzisi. [4]" It is symbolic that the final resting place of Giorgi Eristavi, the Ikorti Cathedral (1172), is also in the occupied territory.

Visiting the palaces of Eristavis and Jambakur-Orbelianis can be considered in a single context.

Since 2008, the Didi Liakhvi Gorge State Museum-Reserve also has been located in the territory occupied by Russia. It was founded in 2005 with the administrative office in the village of Kurta, Shida Kartli, Gori municipality, presently in the settlement of IDPs in Gori.[5]

The thematic link between these museums and museum-reserves (under joint projects) will be important in the context of the cultural heritage information center. The information center of the museum will collect electronic materials about the monuments and museums in the occupied territory, as well as information on the historical monuments of the village of Odzisi and, in general, the Mchadijvari community (along with the village of Odzisi, there are 17 villages in this community). Based on the mentioned information center, the foundation may be laid for research of cultural heritage monuments in the occupied territories to promote this important field among the local population.

Along with the information center, it is planned to create a media library in the museum, with a book repository and an electronic library for different age groups. For children from vulnerable families, the media library can also provide computers, Internet etc.

One of the special merits of Giorgi and Davit Eristavi House-Museum is the modern wine cellar. After the full rehabilitation of the building, it is most important to put the cellar into operation[6] to ensure growth of tourism. An ethnic cafe will also be functionally connected to the wine cellar, which will be mainly focused on local products. It can also offer visitors an interesting tour independently from the museum through introduction to the history of wine and the wine cellar, tasting, winemaking master classes, etc. Involvement of the local population in this activity will increase motivation and economic interest[7].

The courtyard of the museum should become a calling card of the house-museum. The courtyard, even with its present appearance, with its spaciousness and some planning elements, makes a special impression on the visitors. Therefore, it is necessary to fully utilize its potential by specialists in the relevant field.

From a functional point of view, it is possible to plan a variety of cultural, social and educational events in the yard: non-formal education practices, festivals, modern art exhibitions, theatrical performances .[8]

The courtyard of the museum is a favorite place for the youth of the village. Their number doubles in summer due to visiting guests that tend to gather here in the evening. In case of arrangement of appropriate infrastructure, a cultural-educational-spectacular attraction along with recreation will significantly contribute to the existence of a vivid cultural environment in the village.

Georgian society and the government annually

4 Giorgi Eristavi and the Georgian Theatre, Tbilisi, 2003, p.3

5 Ksni Gorge Historical-Architectural Museum-Reserve and Didi Liakhvi Gorge State Museum-Reserve are united in the structure of the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia.

6 The cellar can be rented to any wine company that can operate in accordance with museum standards

7 Common wine varieties in Odzi are: Rkatsiteli, Goruli, Chinuri, Utsamli; The local population has small plots and they make about 500-700 liters of wine; Therefore, wine production in the village is not of such a scale to make it possible to run museum Marani (wine cellar) locally. In the village, families make cheese, dried fruit, and churchkhela. It is possible to encourage the production of these products in such a way that they are sold to museum visitors, for example, in a cafe, or at open-air festivals. One of the strengths of the village is fruit trees. In this direction, local products can be included in the museum cafe, wine cellar and other services. It should be taken into account that there is no market in the village and fruits are sold in Tbilisi. Thus, the museum can become an encouraging space for the local population in this regard as well.

8 The courtyard of the museum can also be rented out for large events. Outdoor events can be planned in the beautiful yard, e.g. weddings, corporate meetings, etc. This kind of approach will help increase the income of the museum.

celebrate the day of foundation of the professional Georgian theatre. On January 14, 1850, on the initiative of Giorgi Eristavi, the play Divorce was staged based on his own play. It was Giorgi Eristavi who was the author of the idea concerning this historical event. The Eristavi House Museum is the very place where this significant date should be celebrated every year.

Under the conditions of the "creeping occupation", the museum and the collections are under constant threat, that is why an emergency management plan should be developed based on risk analysis (taking into account the location and political situation). An emergency management plan is vital for a museum located near the occupation line, as it allows for a rapid and professional response to the damage in case of an emergency.

The 21st century has dramatically expanded the role and mission of the museum. In the process of searching for new forms of interaction with society, the museum was transformed from the institution designed for storing, presenting and interpreting exhibits into an institution with an active scientific, educational and socio-economic function. The museum located at the occupation line, as a multifunctional attraction, should not only combine all these functions, but should also become an integral part of the daily life of the village and surrounding settlements.

REFERENCES:

- Dusheti municipality, Odzesi village, preparation of pre-project documentation for the study of paintings in the interior of Giorgi and Davit Eristavi House-Museum, Monument Research and Conservation Center, Tbilisi, 2019 *(in Georgian);*
- Giorgi Eristavi and the Georgian Theatre, Tbilisi, 2003 *(in Georgian);*
- Giorgi and Davit Eristavi House-Museum' development vision. Museums and Museum-Reserves Unit of the National Agency for preservation of Cultural Heritage of Georgia. (Dolidze I., Tevdorashvili T., Sosanidze M., Bulashvili E., Meladze D., Katcharava E.). 2020-2021 *(in Georgian);*
- Minor rehabilitation works at Eristave Palace, National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia, Tbilisi, 2016 *(in Georgian);*
- Rehabilitation project of the House-Museum of Eristavis (II stage), National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia, Tbilisi, 2018 *(in Georgian);*
- Giorgi and Davit Eristavi House-Museum Rehabilitation Project (IV Stage), National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia, Tbilisi, 2019 *(in Georgian);*
- Dolidze I., Creation of a multifunctional space in the Giorgi and Davit Eristav house-museum (the village of Odzisi), 2019. Grant application for the USAID Growth project in Georgia *(in Georgian);*
- Kiknadze V. , History of Georgian Drama Theatre, Vol. 1, 2001 *(in Georgian);*
- The Cultural heritage of Georgia, 2016-2017 *(in Georgian);*
- The Cultural heritage of Georgia, 2018-2019 *(in Georgian);*
- Shervashidze N., Bidzina Avalishvili, sculpture, Tbilisi, 2014 *(in Georgian);*

1. გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი
GEORGE AND DAVID ERISTAVI HOUSE-MUSEUM

2. სახლ-მუზეუმის ეზო
THE COURTYARD OF THE HOUSE- MUSEUM

3. სახლ-მუზეუმი. მარანი
THE HOUSE-MUSEUM. WINE CELLAR

4. სახლ-მუზეუმის ექსპოზიცია
EXPOSITION OF THE HOUSE-MUSEUM.

5. სახლ-მუზეუმი. თეატრალური დარბაზი
THE HOUSE-MUSEUM. THEATRE HALL

6. სახლ-მუზეუმი. კედლისმხატვრობის ფრაგმენტი
THE HOUSE-MUSEUM. FRAGMENT OF WALL PAINTINGS

7. ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმი
THE PALACE-MUSEUM OF JAMBAKUR-ORBELIANS

8. ახალგორი. ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
AKHALGORI. KSANI HISTORICAL-ARCHITECTURAL MUSEUM-RESERVE